№ 129. 23 ივნისი, სამშაბათი. 1866 – 1881 23 ივნისი, სამშაბათ. № 129.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

რედაქცია

გალავნის ბრანსპექტზეთ. ივ. შუხრანხის ხახლეში ალუბის ქვეშოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებაზ“, „ივერიაზ“ რედაქციაშ, ქუთაისში: „დროებაზ“ „ივერიაზ“ აგენტთან ი. ჭეთნიასთან ხალაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს

დროებაზ“ და „ივერიაზ“ ერთად 14 მან. . . 8 მ. . 5 მ.

ცალკე { „დროებაზ“. . . . . 9 მან. . . 5 მ. . 3 მ.
„ივერიაზ“. . . . . 7 მან. . . 4 მ. . 2 მ.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. [illegible] ასოზე. [illegible] ასოზე ნახევარ [illegible] ასოზე შეთხუდა კაპ.

თუ ხაჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასახეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უფუტოთ კერ დუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაზ“ „ივერიის“ აგენტთან.

ფასი „დროების“ 5 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელეგრამები

(„ხალხთაშორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 20 ივნისს. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით გაზეთი „ოდესის განცხადების ფურცელი“ შეჩერებული იქმნა ოთხი თვით.

„ნოვოე ვრემიას“ სწერენ 19 ივნისს რომადამ: ჩამოვიდნენ სლავიანების მლოცავები. კვირას გადაიხდიან ლიტანიურ წირვას; სამშაბას შაბი ინახულებს და გამოეთხოვება; ცალ-ცალკე სამხრეთ და დასავლეთ სლავიანების კათოლიკეებმა მიართვეს თავ-თავისი ადრესი. მლოცველების თანასწორებს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდა. ხორვატიის ეფისკოპოსი შტროსმაიერისა და ბოლშის—ლედოხოვსკის შორის დიდი განსხვავებაა.

რუსეთის დიპლომატიურ აგენტებმა ბუტენიევმა და მასოლოვმა შესწავიტეს ვატიკანთან მოლაპარაკება და მთელი ზამხულით დაითხოვეს თავი. ჭფიქრობენ, რომ მათი წასვლა ნიშნავს შაბის ორბირობითი მოქმედობის წინააღმდეგობის ამოცხადებას.

პრაგა, 18 ივნისს. ეველა ჩეხიის გაზეთები დაკავეს, ჩეხების აღმგრისათვის და ნემეცების სტუდენტების წაქეზებისათვის; 19 ივნისს უნივერსიტეტი დახურეს, ჩეხიისა და ნემეცების ახალგაზდობის შორის შეტაკება ჯერ კიდევ არ შეწყნარებულა; დიდ-ძალი რიცხვი სტუდენტებისა დატუსაღებულია.

ვაშინგტონი, 20 ივნისს. დილის 9 საათზედ ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტს ესროლეს თოფი. ამბობენ, მძიმედ დაჭრილია; ხმა არის დაგარდნილი კიდევაც მოკვდა. საშინელი საზოგადო მოძრაობის გამო, არ შეიძლება ნამდვილი ცნობების შეტყობა; მკვლელი დატუსაღებულია.

სტამბოლი, 19 ივნისს. სულთნის სიძეები, რომელთაც გარდაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა, დაშორებული იქმნებიან თავიანთ ცოლებს.

ათინა, 19 ივნისს. ფერგეზში ჩამოვიდა ეგროპის კომისია. ადგილების დაცლა დაიწყეს; არტის დაჭერას დაიწყებენ სამშაბათს.

ქრონშტადტი, 20 ივნისს. ინგლისის სამხედრო ხომალდები, ედინბურგის ბრინცის თაოსნობით, მოვიდნენ მესამე საათს და გაჩერდნენ ქრონშტადტიდამ შვიდ ვერსზედ.

სოფლის მასწავლებლებზე

ეველა დამეთანხმება, რომ მასწავლებლის თანამდებობა არის უმძიმესი ტვირთი ყველა სხვა თანამდებობაზე; ნამეტურ მასწავლებლობა სოფლის სკოლისა, სადაც მასწავლებელს არ ყავს თანაშემწე და უნდა სამს, ხან ოთხს, განყოფილებაშიაც ასწავლოს მარტო, დღეში ექვს საათს.

მაგრამ სწავლება კიდევ არაფერი; ჯან-მრთელი, გამოცდილი და ერთგული მასწავლებელი კიდევ გაუძლებს ჯაფას, და თავის მოვალეობასაც კეთილ სინდისიანად შეასრულებს, რომ სხვა მრავალი მიზეზები არ აბრკოლებდნენ.

აი რამდენი იმ მიზეზთაგანი:

1) ყმაწვილების მიღებას არა აქვს სამზღვარი. რა თვეშიაც და რა კვირაშიაც უნდათ გლეხებს, მაშინ მოიყვანენ შვილებს და ჩვენც უარს ვერ ვეტყვით მიღებაზე, რადგან არ გვაქვს დადებული წესი—როგორ მოვიქცეთ; ამის გამო სდგება ბევრი განყოფილება, სწავლება და თავისგართმევა ძნელდება და პროგრამმის გავლასაც ვერ ვასწრობთ.

2) მასწავლეები ხშირად აკლდებიან კლასს! დღეს რომ ერთი აკლდება, ხვალ მეორე და ამნაირად ერთი დღის დასასწავლს მოსწავლეები უნდებიან ორ-სამ დღეს.

3) არც ერთ სკოლაში არ არის გამართული ბიბლიოთეკა, არ აქვსთ მზათ წიგნები, რომ ვინიცობაა ბავშს წიგნი დასჭირდეს, არ მოუნდეს მისთვის ქალაქებში სიარული და დროს გაცდენა. არც მასწავლებელს აქვს იმისთანა სახელ-მძღვანელოები, რომლითაც შეიძლებოდეს სწავლება ყმაწვილებისა.

4) ეველაზე უმფრო უსაჭიროესი მასწავლებლისათვის არის პროგრამმა და იმ პროგრამმის-და-გვარად შემდგარი გაკვეთილების რიგი; ამას ჩვენ მოკლებულები ვართ. პროგრამმა, თუმცა შეეადგინეთ შარშან ქუთაისის გუბერნიის სასოფლო სკოლების მასწავლებლებმა კრების დროს, მაგრამ დამტკიცება და ნახვა აღარ გვეღირსა. როცა მოდიან ჩვენი ზედამხედველები რევიზიისათვის, თუ პროგრამმა რიგიანად არ აქვს შესრულებული ყმაწვილებს, გვიჯიერდებიან, და იმას კი არ ჰკითხულობენ, თუ რატომ ვერ შეასრულეს.

5) სასწავლებლის სადგომები არიან ცუდათ გაკეთებულები; კედლებში და აგრეთვე ზეითი ლამფიდგან ისე შემოდის სინათლე, როგორც ფანჯრებიდგან. ამის გამო ზამთრობით ძრიელ სიცივეა, ბავშები სიცივით კანკალობენ, ვერ სძლებენ და ვერც ვერაფერს სწავლობენ.

6) ჯამაგირს გვაძლევენ მამასახლისები, მაგრამ უდროვო-დროს, როცა თვითონ ისინი მოიქეიფებენ და ამის გამო ნახევარჯერ შიმშილით ვწყდებით. ბავიგონეთ, რომ შემდეგში მასწავლებლები ხაზინიდამ მიიღებენ ჯამაგირსო. თუ ეს მართლა შესრულდა, დიდათ სასიამოვნო იქნება ჩვენთვის. სასიამოვნო იქნება არამც თუ მარტო იმიტომ, რომ თავის დროზე მოგვეცემენ ჯამაგირს, არამედ იმიტომაც, რომ სოფელში მასწავლებლის ჯამაგირის მოკრეფაზე დიდი უწესოება ხდება, რომელიც მოისპობა, თუ, როგორც ფოშტის ფული, ისე განჩინების ძალით, კომლზე გასწერეს და მერმე ხაზინაში წარადგინეს ხოლმე. ახლა მასწავლებელს აქვს ჯამაგირი მოჭრით და გლეხები იხდიან, განჩინების-და-გვარად, წელიწადში თვითო კომლი ექვს შაურს, (ზოგიერთს საზოგადოებაში ორ-ორი აბაზიც და ათი შაურიც იკრიფება), რომლიდგანაც შესდგება არამც თუ მარტო მასწავლებლის ჯამაგირი, არამედ ორი იმის ჯამაგირის ოდენი. სად მიდის დანარჩენი ფულები? ამის გამომკვლევი კაცი ჯერ არსად არ სჩანს. ამიტომ არის სასურველი რომ მასწავლებლების ჯამაგირი იქმნეს გაგზავნილი ხაზინაში; მაშინ არ დაიკარგება არც ერთი კაპეიკი; მაშინ შეიძლება მასწავლებლებს ჯამაგირი მოეშატოს შეიძლება ბიბლიოთეკის გამართვა სკოლებში და სასწავლებლის სადგომების შეკეთება.

ვისურვებ, რომ ყურადღება მიექციოს, ვისდამიც ჯერ არს, ამ უწესოების მოსპობას, რომლითაც გაუმჯობესდება, როგორც მასწავლებლებლის მდგომარეობა, ისე სკოლისა და სახალხო განათლებისა.

სოფლის მასწავლებელი.

ახალი ამბები.

15 ივლისს ჩვენი საადგილ-მამულო ბანკის ბილეთები პეტერბურღის ბირჟაზე ვაყიდულა ამ ფასად:

თფილისის საადგილ-მამულო ბანკისა: 18 წლისა და 7 თვის გირაოს ფურცლები—92 მან. და 50 კაპ., 43 წლისა და 6 თვის—92 მან 25 კაპ.

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისა: 18 წლისა და 7 თვის—92 მან. და 50 კაპ. და 43 წლისა და 6 თვის—92 მან. 50 კაპ.

***

ამავკასიის სამეურნეო საზოგადოების პროტოკოლებში შემდეგ ამბებს ვკითხულობთ:

ნუხში მცხოვრებ ფრანცუზმა ლეგერისიემ საზოგადოებას სთხოვა სესხად 1500 მან. იმ პირობით, რომ დანიშნულ ვადაზე ამ სესხს ზოგს ფულითვე გადაიხდი და ზოგს აბრეშუმის საუკეთესო თესლითაო.

ამ საგნის თაობაზე კამისია იყო დანიშნული და, ამ კამისიის წინადადებით, საზოგადოებამ გარდაწყვიტა, რომ, რადგან ლეგერისიეს მოქმედება სასარგებლოა ჩვენის ქვეყნის აბრეშუმის წარმოებისათვის, ამისგამო ის (საზოგადოება) მთავრობის წინაშე იშუამდგომლებს, რომ ნათხოვნი ფული ასესხონ იმას ხაზინიდამ, მხოლოთ იმ პირობით, რომ თავდები წარმოადგინოს.

— სახელმწიფო ქონებათა უფროსმა აცნობა სამეურნეო საზოგადოებას, რომ დიდმა მთავარმა ამავკასიის მთავარ-მმართებელმა ინება ცალკე კამისიის დანიშნვა, რომელსაც მიანდო ყველა საშუალების ხმარება, რომ ვაზის ავათმყოფობა—ფილოქსერა არ გავრცელდეს ამავკასიაში. ამ კამისიაში, სხვათა შორის, სამეურნეო საზოგადოების სამმა წევრმა უნდა მიიღოს მონაწილეობაო. კამისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ა. ი. ელიოზოვი, თ. ზ. ა. ჯორჯაძე და ბ. ი. შარრერი.

— ზოგიერთ წევრთ სამეურნეო საზოგადოებისა გამოუცხადებიათ, რომ თბილისში იყიდება სამზღვარ გარეთიდამ მოტანილი ხილის და სხვა-დასხვა მცენარის ნერგებიო და საშიშია, რომ ამ ნერგებით ფილოქსერის ავათმყოფობა არ გავრცელდეს ჩვენს ქვეყანაშიო.

სამეურნეო საზოგადოებას გადაუწყვეტია, ეს ამბავი ფილოქსერის კამისიას აცნობონ და სთხოვონ მთავრობის წინაშე იშვამდგომლოს, რომ ამგვარი ვაჭრობა სამზღვარ გარეთიდამ მოტანილის ხეხილის ნერგებით მოისპოს.

„დროების“ კორესპონდენცია

ქართლი, 16 ივნისი. ამას წინათ გამოვგზავნე „დროების“ რედაქციაში კორესპონდენცია შესახებ მომრიგებელი შუამავლის თ. ი. ერისთვისა. მაგრამ დღემდინ ის არსად არა სჩანს: არ ვიცი, არ მიგიღიათ, თუ მიიღეთ და არ დაიჯერეთ შიგ დაწერილი ფაქტები. საწყაული აიესო, ამაზე მეტი მოთმენა აღარ შეიძლება.

ბატონებო, სწორედ გლეხების

რისხვად არის ეს ბატონი შუამავალი დაყენებული: არა რაიმე საქმეს გლეხებს და მებატონეებს შუა ბოლოს არ უღებს; საქმის გაკეთების მაგიერ გლეხ-კაცებს ყბებს ამტვრევს ცემით,—ამას ჰქვიან ბ-ნი ი. ერისთავის შეხედულობით საქმის გაკეთება!

იქნება, გეგონოსთ, რომ ეს ტყუილი ცილის-წამებაა? არა; ფაქტები ამ ნაირის ბარბაროსულის მოქმედებისა ბევრია. მაგალითის გულისთვის მოვიყვან ორს ფაქტს:

რამდენჯერმე სცემა სოფ. მეჯვრისხევის მცხოვრებელს გლეხს ზაქარია მღებრიშვილს. რათა, რისთვის? ძანონიერი თხოვნისთვის, იმისთვის, რომ კარმიდამოს ადგილი მოუზომოს, მოარიგოს მებატონესთან, თორემ ერთ მშვენიერ დილას მებატონეს შეუძლიან წაართვას,—რის მაგალითებიც ეხლა ჩვენსკენ უხვად არის—და დააგდოს გლეხი უკარ-მიდამოდ. მერცხალივით ბანიდამ ხომ ვერ დაიწყობენ ფრენას! მინამ რ. ე—ი იყო, გლეხების და მებატონეების საქმე თავის კანონიერ გზით მიმდინარეობდა, და ახლა?

მეორე ფაქტი: მერეთელ გლეხს რამდენჯერმე ყბები ჩაამტვრია. რათა, რისთვის? როგორც არ მოგკლავთ, თითონაც არ უწყის, თუ რად. გლეხის დანახვაზე, ბრაზი და ცოფი მოსდის, თვალები ეხვევა და მიჰყობს ცემას. სხვით არაფრით აიხსნება ამისი ქცევა. ახ, რა კარგი იქნება, რომ ამ ცემის მოყვარე კაცს სადმე რუსეთისკენ დანიშნავდენ ახლო საიმისოა, თქვენმა მზემ! მერე ეხლა ამ ურიების საქმის თაობაზე გლეხობა არა თუ სილის ცემას, „როზგის“ ცემასაც შეაჩვიეს. აი აქ გაძლება მაგისი თვალი.

არ შეიძლება გვიპასუხოს ბ-მა ი. ე-მა: რათა, რისთვის, რომელი კანონისა და „ტატიის“ ძალით სცემს გლეხებს? რომ სცემთ საქმესაც უკეთებთ? ამ რამოდენიმე წლის განმავლობაში რამდენი საქმე შეასრულეთ?

რახან ერისთავზე ჩამოვარდა, ვიტყვი კიდევ რამეს ერთს ერისთავზე. განსვენებულმა გენერალმა გიორგი ერისთავმა („დიდ კნიაზად“ წოდებულმა) ძველადვე ხელში იგდო ს. ატენი და მრთელი მისი ხეობა, მთა და ბარი. მთელ ხეობას, მთელ ამოდენა მთას ერთი კარი აქვს გამოსავალი და ეს კარი არის ს. ატენში, სადაც აქვს. ე-ს აშენებული სახლი და ზვარი; ამ კარს ძე-ხორციელი ვერ ასცდება, ერთ ღერს შეშას ვერ გაიტანს სხვა გზით, ასე რომ პატრონი არხეინად ზის ს. ატენში თავის სახლებში, სადაც არის კარი ხეობისა. თ. გ. ერისთავმა აქ მცხოვრებ ხლეხებსაც გამოთხლიშა ხელიდამ მამული იმ საბუდით, რომ ძლიერთან ყოველთვინ ულონოა მტყუანიო. სხვა გლეხთა შორის აქ, ატენში, ტლაშაძეებს ჰქონიათ ჩვენი მეფეებისგან მიცემული დიდ-ძალი სახნავი, ტყე და სავენახეები. გ. ე-მა ჩამოართვა ძალდობით; გაჩნდა დავა; მოგეხსენებათ ძველი წესით დავა; თავადმა ატრიალა, საქმე; რამდენიც დიამბეგი მივიდა საქმის გამოსაძიებლად, ზოგს პანღური ამოუსვა, ზოგი გასწკეპლა; დავა დაწყობილა ამ საუკუნის პირველ წლებში. დღეს, და მგონი, მხოლოდ დღეს საქმემ და, მგონი, ტლაშაძეების სიმართლემაც, მიაღწია სენატამდის. აქნამდისინაც მიაწევდა, მაგრამ ე-ს მემკვიდრეებმა თბილისის პალატაში თურმე წარადგინეს ქაღალდი, რომ ჩვენ და ტლაშაძეები-ზაქარა, გიორგი და სხვ.—მოვრიგდით, ურთი-ერთ შორის ყოველი დავა მოვსპეთო. სენატიდამ, რასაკვირველია, ამის და გვარად გარდაწყვეტილება მოუვათ კუდამდინ ტყავ გამძვრალ გლეხებს-ტლაშაძეებს. წაივლებენ სიმწარით თმაში ხელს და ეცემიან ადვოკატს, რომელიც გამოაბრუნებს საქმეს და ნამდვილ ამბავს მისწერს სენატს.

ჰხედამთ, სანამდინ მიდის სითამამე განსვენებულის გ. ე-ს მემკვიდრეებისა, რომ პალატასაც კი ატყუებენ და ტლაშაძეებს რას უზმენ!—სენატშიაც გამოუჩნდებათ კაცი, რომელიც ისევ უკუღმა დააბრუნებს საქმეს, ისევ მემკვიდრეებს მიჰკერძამს და საცოდავ ტლაშაძეებს კი სამუდამოდ, საშეილიშვილოდ ყელებს დასჭრის და ადიდებულს მტკვარს მისცემს.

წარმოიდგინეთ, სამოცდ-ოთხმოცი წელიწადი დავა დიდ პირთან საწყალი გლეხისაგან!! რაღა უნდა იყოს იმ გლეხის მდგომარეობა შემდეგ ამდენის წვევისა? თითონ გ. ერისთავის მემკვიდრეებიც არიან დარწმუნებულნი, რომ ატენის ნახევარი მამული, თუ არვიცი სულ, ტლაშაძეებისა ყოფილა, მაგრამ გემრიელ ლუკმას როგორღა გაუშვებენ თავის ნებით ხელიდამ. იქნება, სამსჯავრომ, სწორმა და სწრაფმა ბოლოს ჟამს ტლაშაძეებისკენ გადმოიხედოს და თავისი ოხერი მამული გაოხრებულ პატრონსავე დაუბრუნოს.

ბათუმი, 12 ივნისს. ახალმა ღუბერნატორმა ბ. სმეკალოვმა ჩამოსვლისა-თანავე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა აქაურ ხალხზე; მაგრამ ჯერ ამაზე არა ითქმის რა,—საქმეს მოუცადოთ.

აქაურ ჩინოვნიკებზე ბევრს იწერებოდნენ თქვენსა და სხვა გაზეთებშიაც; ერთს მაგალითს მოვიყვანთ და აქედამ შეიტყობთ—თუ მართლა როგორები არიან ესენი: ერთს აქაურ პოლიციაში მოსამსახურე ჩინოვნიკს იმ დროს, როდესაც იმას ჰქონდა მინდობილი გრადონაჩალნიკის თანამდებობის ასრულება, მთელი ქალაქი სამ დღეს ერთ ფეხზედ უტრიალებია. მთელი ბათუმის საზოგადოება გაკვირვებული ყოფილა პოლიციების ფაცა-ფუცაობით და ეკითხებოდენ ერთმანეთს, თუ ეს რა მოსვლიათო! ან რას ეძებენო? ზოგი ამბობდა, თუ სოციალისტებს ეძებენო, ზოგი რას და ზოგი რას.

რაც შეეხება სოციალისტებს, მაჰახელაში არ არიან, რომ ჩამოსულიყვნენო და სხვა-და-სხვა ქალაქებიდამ ვერ გამოვლენ ბათუმშიო, ამიტომ რომ პოლიცია და ჟანდარმები ძალიან ყურადღებას აქცევს და ყოველ გემის მოსვლაზედ უჩხრეკამს ბილეთებს პასაჟირებს და თუ ვინმე უბილეთო აღმოჩნდა, მაშინვე იჭერენო.

აბა რას ეძებდა ეს პოლიცია სამ დღეს ასე საიდუმლოდ რომ არავის არ ცოდნია იმათ მეტს? აი რას:

ამ ჩვენ ორი თანამდებობის აღმსრულებელ პოლიციის ჩინოვნიკს ხალიჩა დაეკარგაო და ამას ეძებდაო!

ძნელი ასაწერია რაც უბედურება ამ ძველ ხალიჩას ბათუმის ხალხისათვის მოუვლენია, ნამეტურ საწყალ უბილეთოებისათვის. იმავე საღამოს ამ ბატონს დაუბარებია ყველა პოლიციის აფიცრები და აგრეთვე კანცელარიის ჩინოვნიკებიც და ფიცხლათ უბრძანებია: ეს და ეს „ზომები მიიღეთო“ და უსიკვდილოთ აღმოაჩინეთ ის დაკარგული ხალიჩაო!

ისინიც, რასაკვირველია, წასულან ბრძანების შესასრულებლათ.

ყველაზე პირველად იმათ შეუკრამთ იმ ღამეს მთელი ქალაქი და მთელი ღამე უყარაულებიათ და უჩხრეკიათ ქალაქ გარეთ გამსვლელი ხალხი დაკარგული ხალიჩის აღმოსაჩენათ. მაგრამ საუბედუროთ, ვერა უპოვნიათრა.

შემდეგ, უნდა დაეჩხრიკა შეაღამის ორ საათზედ რაც ბათუმში დუქნები, ტრაქტირები და სხვა და სხვა ზავედენიები არის და ამასთანავე უბილეთო ვინც შეხვდებოდათ, უნდა დაეჭირათ.

მოგახსენებენ ერთი ძველი ხალიჩის მაგივრათ, 120 კაცი უბილეთოები გამოჩხრიკეს და მოარეკესო პოლიციაში! ეს ამბავი მაშინვე შაუტყობინებიათ ზემოხსენებულ პოლიციის ჩინოვნიკისათვის, ისიც მობძანებულა პოლიციაში და დიდის მუქარით შეუტევია საწყალ უბილეთოებისათვის: თქვენ ბრძანდებით ჩემი შემრცხვენი და მთელი ქალაქის ამომგდები? ბატყდით ეხლავე, თქვენში რომელმა ჩაიდინა ის საქმეო, თორემ ისე გაგიხდით საქმეს, რომ ბათუმის ნახვა მოგანატროთო! იმათაც უპასუხებიათ თქვენი ხალიჩის ქურდი ჩვენ არა ვართო თუმცა-ღა ბილეთი არა გვაქვსო, მაგრამ ცუდი საქმის მომქმედიც არა ვართო და თუ ვადას მოგვცემო, ცოტა ხანში ბილეთებიც მოგვივაო. ამათი თხოვნისთვის ყურიც არ უდევნებია და მაშინვე ღუბერნატორთან წასულა მოსახსენებლათ ამ განკარგულებისა, რომლისგანაც დიდი მადლობა მიუღია. ეს უბილეთო ხალხი, ბ. ღუბერნატორის განკარგულებით, თავ-თავის სოფლებში გაგზავნეს ეტაპითა. მხოლოდ რამოდენიმე იმათგანი, ვისაც პატრონი აღმოჩენია, თანდებობის ქვეშ, გაუშვიათ. ამბობენ, ვითომც სამი ოსი თვითონ უთანდებებია ბატ. ორ თანამდებობის აღმასრულებელს და ეს ოსები, მოგახსენებენ, განთქმული ქურდები არიანო; ისინი ყოფილან [illegible] ახალციხის პოლკის საცხენოსნო სოტნაში, ცუდი კაცობის თაობაზედ დათხოვნილნი ყოფილან და ქაღალდიც მიუწერია პოლიციისთვის სოტნის კამანდირს, რომ ისინი შინ გაგზავნონ, მაგრამ დღესაც აქ დასეირნობენო.

ამას გარდა მესამე დღეს დაუყენებიათ ქალაქში ჩუმი ყარაულები, იქნება ვინმემ გასასყიდათ შამო-ტანოს ხალიჩაო. ამ მესამე განკარგულებამ ისახელა თავი და იპოვა დაკარგული ხალიჩა. საღამოზედ იმ დღეს ეპოვნა საპერსკის პოლკის სოტნის ერთს ყაზახს, რომელსაც ბრძანება ქონია, რომ თვალი ედევნა. ამან ნახა, რომ ორი სალდათი ერთ ძველ ხალიჩას დაატარებდენ გასასყიდათ, მაშინვე დაიჭირა და პოლიციაში წაიყვანა, და, იმათ საუბედუროთ, ის დაკარგული ხალიჩა გამომდგარიყო, რომლისათვისაც ამდენი საქმეები ჩაიდინეს. ეს სალდათები ეხლა დაჭერილი არიან და პასუხის-გებაში მიცემულიო.

ბათუმელები დიდ ხანს იქცევდენ ამაზედ ლაპარაკით თავს, და იყო ერთი მილოც-მოლოცვა ხალიჩის პატრონთანო და მადლობის შეწირვა ამ ნაირი ახალი ზომების გამომგონებისთვისო და ბათუმის ქურდებისაგან გაწმენდისთვისო.

მაგრამ მართლა არც ისე გაწმენდილა ბათუმი, რომ აქ მარტო ანგელოზები დარჩენილიყვნენ. ამას წინათ შვიდ საათზედ საღამოს ნავსადგურზე გაუტეხიათ ქურდებს მესაათეს მაღაზია იმ დროს, როდესაც პატრონი ჩაის დასალევათ ყოფილა წასული, და გაუტანიათ სამასი თუმნის ოქროს, ვერცხლის საათები და სხვა-და-სხვა ნივთები. პატრონი 8 საათზედ მოსულა მაღაზიაში, უნახამს, რომ მაღაზიაში კედლის საათების მეტი არა არის-რა,—მაშინვე პოლიციისთვის შაუტყობინებია და დიდის იმედით დაბრუნებულა მაღაზიაში, იპოვნიანო, თუ ახალი ზომები მიიღესო. მაგრამ „აგცილდათ ძაცხის ზარბაზანი“, როგორც ეს ძველ ზომებსაც აცდენია თუ არა ახალმა თქვენი ქირი წაიღოს. სასაცილო ამბავი კიდევ ეს არის, რომ პოლიციის სტოროჟიც დაენიშნათ იმღამეს აფხოტშიო, ზემოხსენებულის სახლების საჩხრეკათო, ამით უსარგებლნია ვიღაცას, შესულა პოლიცაში გამოუტანია პრისუტსტვიიდან კედლის საათი და წაუღია!

„დამწვარზედ მდუღარე დაუსხესო“, აბა ეს არის აი. მაგრამ, ღვთით, ესეც მალე აღმოუჩენია პოლიციას ქურდი ყოფილა კიდევ ვიღაცა რუსის ქალი.

წარმოიდგინეთ ამ უბილეთო ხალხის გაყრის შემდეგაც რამტელათ უნდა იყოს აქ ქურდობა გაძლიერებული, როდესაც ქალი მიდის საქურდლათ, მერმე კიდევ იმისთანა ადგილზედ, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც პოლიცია და ისე მოქმედობს, რომ ვერავინ უგებს...

მგზავრი.

წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო! თქვენს საპატიო გაზეთ „დროების“ 108 №-ში წავიკითხე „მგზავრის“ წერილი, რომლითაც მწამებს მე, თითქო იმას ეთხოვოს ჩემთვის ფოთამდის ბილეთი და ფულიც მიმეღოს ღირებული, ბილეთი კი სამტრედიამდის მიმეცეს.

ეს ისეთი ცილის წამებაა, ბ-ნო რედაქტორო, რომ არ ვიცი რა ვიფიქრო; საწერი მასალის მოკლებას და ანუ სხვა რასმე უიძულებია ბ-ნ მგზავრი, თორემ მე არასოდეს ფოთის მაგივრათ სამტრედიის ბილეთი მგზავრისათვის არ მიმიცია.

რომ ერთობ გაჭიანურებული არ მომივიდეს ეს წერილი, მოკლეთ მოგახსენებთ:

მე ვმსახურებ ამ გზაზედ 1871 წლიდგან; მიმსახურია კასსირათ ყველა დიდ სტანციებში: ფოთში, ქვირილაში, ხაშურში, თფილისში და ქუთაისში, და ამ ხნის განმავლობაში როგორც მგზავრებიდგან აგრეთვე არც ჩემი ნაჩალნიკებიდგან არასოდეს არავითარი ბოროტ-მოქმედებაში შენიშნული არ ვყოფილვარ და სრულებით დარწმუნებული ვარ ვერც ბ-ნი მგზავრი შეიძლებს საფუძლიანათ მიმითითოს რასმეზე.

თუმცა ბ. მგზავრი მის საბუთად, რომ ბილეთი ფოთამდის მთხოვა და არა სამტრედიამდის, ამბობს, რომ ბაგაჟიც ფოთამდის მიეეცოო, რომლის კვიტანციაში ბილეთის ნომერი ჩასწერეს და ბეჭედი დაასვესო, ჩემის აზრით, ეს არაფელი ფაქტი არ არის, უფრო ადვილი საფიქრებელია, რომ ბ. მგზავრს, შეეძლო ბაგაჟის კასსირიც მოეტყუილებინა, ეთქვა ბილეთი ამ ნომრის ფოთამდის მაქვს და „სკიდკა“ უყავო; კასსირსაც ბილეთის შეუმოწმებლათ სკიდკა ეყო, რადგანაც ქუთაისის სტანციიდგან დიდ ძალი ბაგაჟი იგზავნება და ბაგაჟიც ერთობ გვიან მოაქვთ, ამისთვის დრო არ დაეკარგა.

რაც შეეხება იმას, რომ ბრძანებს ბ-ნი მგზავრი: „ამეორეთ ჩემს ქუთაისში მისვლაზედ და ჩემის ფულების თხოვნის დროს შეურაცხყოფა მომაყენაო,“—აი მოგახსენებთ საქმე რაში მდგომარეობდა:

მატარებელის გასტუმრების დროს, როცა უიმისოთაც ბევრი სამსახურის საქმეები მქონდა, მოვიდა ჩემთან უცნობი მგზავრი და მითხრა: შენ ამას წინეთ მეტი გარდამახდევინე ბილეთის ფასი და, თუ ეხლავე არ დაგიბრუნებია, გაზეთში ჩაგიწერო.“ ამაზე მე ვუპასუხე, რომ უსაფუძვლოთ გაზეთებში წერით არა გამოვა-რა და არც არავის შეეშინდება-მეთქი. თუ ამის ცარიელ სიტყვებს ვნდობოდი და ფულები დაძებრუნებია, მაშინ შეიძლებოდა ბევრი ბ. მგზავრისთანა უსაფუძვლო მთხოვნელები გამოჩენილიყვნენ და რა ამითავდებოდა იმათ დასაკმაყოფილებლათ?

ბ. მგზავრი თავის წერილს ამ სიტყვებით ათავებს:

„ღმერთმა დამიფაროს, რომ ვიფიქრო ბ. ნოდია ამას თავის ჯიბის სასარგებლოთ შერებოდესო“. თუ კი ამ აზრის ბრძანებელი იყო ჩემზე, შეეძლო წაეკითხა რკინის გზის წესდება და გაეგო, რომ მეტის ფულების კასსაში გაგზავნისათვის ისრე აგებს კასსირი პასუხს, როგორც ნაკლებისათვის.

ქუთაისის რკინის გზის სტანციის უფროსის თანაშემწე და კასსირი

ფოსიმე ნოდია.

რუსეთი

„ნოვოე ვრემია“ სწერს, რომ შემდგარა ახალი კომისია, რომელმაც უნდა დაადგინოს განსაკუთრებით შემთხვევების დროს სახმარებელი წესდება. თავს-მჯდომარედ ამ კომისიაში არის ქახანოვი; წევრებად: ჩერევინი, ბარანოვი, ზუროვი და სტრელნიკოვი.

— „მოსკოვის ტელეგრაფში“ სწერია: „შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახვა აქვს, გარდა გლეხების ნაკელის გამოსყიდვის ფასის შემცირებისა, ამ ჟამად პეტერბურღში მყოფ ერობის წარმომადგენელთ, ექსპერტებს, მიანიჭოს უფლება, რომ თუ რამ საგნები ექნებათ განსახილველად შესახებ გლეხების მდგომარეობის გაუმჯობებისა, მისცენ მთავრობას ამაზედ წინადადება. ამ საქმის მოსაფიქრებლად კომისიას მიეცა დრო, შეუძლიანთ სხდომები დანიშნონ და შეაჭუშავონ პროგრამა თავის მოქმედებისა.

— ბზის სამინისტროში თითქმის გათავებულია, როგორც სწერს გაზეთი „ნოვოსტი“, რკინის გზის კასსის საზოგადო პენსიის წესდება. ეს წესდება წარედგინება განსახილველად გზის სამინისტროს რჩევაში და ამის შემდეგ მხოლოდ დარჩება სხვა სამინისტროების თანხმობა.

— პეტერბურღიდამ დეპეშით სწერენ ლონდონის გაზ. *Daily News*-ს, რომ აქ ხმა არის გავრცელებულიო, ვითომც პოლიტიკური დამნაშავე ბარტმანი დაუტუსაღებიათ სტამბოლში საიდუმლო პოლიციის აგენტებს, რომელნიც მუდამ სდევნიდნენ თურმე მას და, როგორც ამბობენ, ერთად ჩაეიდნენ ინგლისიდამ სტამბოლშიო. მოგეხსენებათ, რომ ბარტმანს, სხვადა-სხვა პოლიტიკურს დამნაშავეებთა შორის, აბრალებენ მოსკოვის ახლოს რკინის გზის აფეთქებას, გარდაცვალებულ ხელმწიფის ყირიმიდამ დაბრუნების დროს.

განცხადებანი

სოფლისათვის მოსახურავები 4 მან.; დასაკეცი კრესლოები 2 მ. და 50 კაპ. და კროატები 8 მანეთიდამ; სკამიანი ჯოხები 4 მან., ლამაკები 14 მან., კრესლოიანი კრავატები 10 მანეთიდამ; ბაკლები 15 კაპ. ეკსტრაკტ-ყავა, კაკაო, თოფები, რევოლვერები, პირის-სახოკები, საწერი მასალები, კალმები, და სხვ. და სხვ.

ინგლისის მაღაზიაში.

(10—1)

ჯანჯუღაზოგების მოსკოველ მოვაჭრეების გეჭიდი

ვ. მ. ლებედინსკი

ჭკისრულობს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების წარმოებას თფილისის სასამართლოებში და სამოსამართლო პალატაში რჩევას მუქთად აძლევს.

მთხოვნელებს მიიღებს მუდამ დღე ნაშუადღევის 5 საათიდამ 7-მდინ, შაბათსა და კვირას გარდა. **ადრესი:** გალავინის პრ. №. 7, მირიმანოვის სახლი, „სქართველოს“ სასტუმრო.

(6—1)

სიყვარულის კოცნა.

ლექსები, კომედია და დიალოგი ლი ლეკის ამბავი, თხუზულება დიმიტრი ნადიროვისა. დაიბეჭდა და ისყიდება ქქ. თბილისს, ქუთაისს, ბორს, სიღნაღს და ოელავს წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყველგან ერთი აბაზი.

(5—1).

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი ხარისხისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, ბოგზებისა, ჩაინიგებისა, ბოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შეო კებისა, ტხვირ-სახოცისა, ქალალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუგრისისა (გემრიელი კლეშეკინი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატეჯერის და კამშ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭკვანას გიარები.

(100—88)

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

სამმართველო ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკისა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით, 28 კვირიკობის თვეს მიმდინარის 1881 წლისა, დილის თორმეტ საათზე, ქ. ქუთაისს, ბანკის სამმართველოში (ქარაგან-სარაის ქუჩა, სარაზოვების სახლები) საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან სსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, რადგანაც მათ წესდებისამებრ ბანკის სახვედრო გარდასახადი არ შემოუტანიათ.

გასყიდვა მოიხსობა მხოლოდ იმ მამულთა, რომელთა მეპატრონენი, იმავე წესდების მე-19 §-ის თანახმად, სრულად შეავსებენ ბანკის სახვედრო გადასახადსა და თან განცხადებათა სარჯებს.

ქუთაისის გუბერნიის:

ქუთაისის უეზდისა:

43½ წლიანნი სესხნი:

დოდაბერიძისა, მარიამ სიმონის ასულის, კოლლეგსკი ასესორის მეუღლისა: სოფელსა ბაშს სახნავ-სათესი და ტყე, 46½ დესიატინი; თავნი ვალი 7,333 მანეთი 30 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 312 მან. 98 კაპ., სულ 7,646 მან. და 28 კაპ.

მისივე: სოფელთა ფარცხანაყანევს, ბაშს და ინეთს სახნავ-სათესი, ტყე და სათიბი, 132⅓ დესიატინი, თავნი ვალი 10,266 მ. 54 კ., შეუვსებელი გადასახადი 544 მან. 53 კ., სულ 10,811 მ. და 7 კ.

ქაჯაიასი, ბიორგი ტარიელის-ძის, აზნაურისა: სოფელს ჭაგანს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 7 დესიატ. და 800 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 879 მ. 98 კ., შეუვსებელი გადასახადი 60 მან. 37 კ., სულ 940 მ. და 35 კაპ.

დოდონაძისა, ბრიგორი ვასილის-ძის, დიაკონისა: ქვახჭირის აგარს, სოფელს ჭოგნარს ზვარი და სახნავ-სათესი, 4 დესიატინი; თავნი ვალი 588 მ. 51 კ., შეუვსებელი გადასახადი 36 მ. 7 კ., სულ 624 მ. 58 კ.

ყანდინოვისა, ანნა ნიკოლოზის ასულის, ნადეორნი სოვეტნიკის ქალისა: სოფელთა ჭოგნარს, ბოდოგანს და წინაველს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 26 დესიატ. და 600 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 2059 მან. 76 კ., შეუვსებელი ვადასახადი 95 მან. 43 კ., სულ 2,155 მ. 19 კ.

ნიჟარაძისა, მიხაილ დიმიტრის-ძის, თავადისა: სოფელსა ზემდამღლაკს ეზო და სახნავ-სათესი, 18 დესიატ. და 450 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 784 მან. 75 კ., შეუვსებელი გადასახადი 44 მ. 10 კ., სულ 828 მან. 85 კ.

აგიაშვილისა, ბიორგი თემურაზის-ძის, თავადის, გვარდიის პორუჩიკისა: ეზო, სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე, 114 დესიატ. და 1931 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 14,757 მ. 41 კ., შეუვსებელი გადასახადი 616 მან. 6 კაპ., სულ 15,373 მან. 47 კ.

მიქელაძისა, დავით ალექსანდრეს-ძის, თავადისა: სოფ. ჭყუშურს სახნავ-სათესი, 130 დესიატ. 80 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 25,579 მან. 55 კ., შეუვსებელი გადასახადი 1,293 მან. 80 კაპ., სულ 26,873 მ. 35 კ.

კიკიანის მეუღლისა, ანნა ფირანის ასულის, აზნაურისა: სოფ. პატრიკეთს ეზო და სახნავ-სათესი, 9 დესიატ. 695 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 688 მან. 69 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 40 მ. 9 კ. სულ 728 მ. 78 კ.

ქუთათელაძეთა, მეგენიის და ტარასის სოფრომის-ძეთა, აზნაურთა: დაბა ხონს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 8 დესიატ. 2050 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 1,377 მან. 34 კ., შესავსებელი გადასახადი 54 მან. 92 კაპ., სულ 1,432 მან. 26 კაპ.

ლორთქიფანიძის მეუღლისა, ქესარია ბესარიონის ასულის, თავადისა: სოფ. ზეინდარს სახნავ-სათესი, 13 დესიატ. 300 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,475 მან. 74 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 72 მან. 19 კაპ., სულ 1,547 მან. 93 კაპ.

მიქელაძისა, მელქისედეკ კონსტანტინეს-ძის, თავადისა: სოფელთა ქულაშს და ორ-წყალ-შვას ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 17 დესიატინი 1930 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 2,459 მან. 58 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 112 მან. 31 კაპ., სულ 2,571 მან. 89 კაპ.

ლორთქიფანიძისა, მიხაილ გიორგის-ძის, თავადისა: სოფელსა ამაღლებას სახნავ-სათესი, 82 დესიატინი 1200 კვადრ. საჟენი; თავნი ფული 7,893 მანეთი 80 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 250 მან. 15 კაპ., სულ 8143 მან. 95 კაპეიკი.

იოსელიანისა, პეტრე ნიკოლოზის-ძის, აზნაურისა: სოფელსა წყალტუბოს ეზო, ზვარი სახნავ-სათესი და ტყე, 14 დეს. 600 კვადრატ. საჟენი; თავნი ვალი 1187 მან. 46 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 75 მან. 3 კაპ., სულ 1,262 მან. 49 კაპ.

მიქელაძეთა, ვალერიანის და გიორგის ბეგლარის-ძეთა, თავადთა: სოფელსა ქულაშს ეზო და სახნავ-სათესი, 23 დესიატ. 1104 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 4650 მან. 86 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 278 მან. 88 კაპ, სულ 4,929 მან. 74 კაპ.

ნიჟარაძისა, მიხაილ რევაზის-ძის, თავადისა: სოფელსა ოფიშკვითს ეზო. ზვარი და სახნავ-სათესი, 3 დესიატ., თავნი ვალი 791 მან. 64 კაპ., შეუვსებელი გარდასახადი 47 მან. 5 კაპ., სულ 838 მან 69 კაპ.

ქორქაშვილისა, ანნა რევაზის ასულის, კოლლეჟსკი ასსესორის ქვრივისა: სოფელთა მაღლას და ოფიშკვითს სახნავ-სათესი, 25 დესიატ 89 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 694 მან. 60 კაპ., შეუვსებელი გარდასახადი 36 მან. 94 კაპ., სულ 731 მან. 54 კაპ.

სამ-წლიანი სესხი.

მიქელაძისა, ალექსანდრე ტარიელის-ძის, თავადის, პოლკოვნიკისა: სოფელსა კულაშს ეზო, ბაღი და სახნავ-სათესი: $11^1/_4$ დესიატ., თავნი ვალი 1800 მან. შეუვსებელი გადასახადი 357 მან. 54 კაპ., სულ 2,157 მან. 54 კაპ.

$43^1/_2$ წლიანი სესხნი.

შორაპნის უეზდისა.

სალაძისა, ადამ ნიკოლოზის-ძის, გლეხისა: სოფელსა დილიკაურს, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 3 დესიატ. 432 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 292 მან. 49 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 36 მან. 75 კაპ., სულ 329 მან. 24 კაპეიკი.

ჩხეიძის მეუღლისა, მელანია ქაიხოსროს ასულის, აზნაურისა: სოფელსა ლახუნდარას ზვარი, ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 26 დესიატინი; თავნი ვალი 3,911 მან. 4 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 245 მან. 19., სულ 4,156 მან. 23 კაპ.

აბაშიძისა, ქაიხოსრო გიორგის ძის, თავადისა: სოფელსა ლაშეს ეზო, ზვარი სახნავ-სათესი, მიდორი და ტყე, 49 დესიატ. 250 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 6,886 მან. 78 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 292 მან. 88 კაპ., სულ 7,179 მან. 66 კაპ.

ჭაჭიაშვილისა, სინო გიორგის-ძის, აზნაურისა: სოფელსა არგვეთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 66 დესიატ. 1291 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 6,886 მან. 78 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 438 მან 63 კაპ., სულ 7,325 მან. 41 კაპ.

რაჭის უეზდისა.

ჯაფარიძისა, ტარიელ მერაბის-ძის, თავადისა: სოფელსა ღარს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 2 დესიატინა 1800 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 686 მანეთი 60 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 62 მან. 72 კაპ., სულ 749 მან. 32 კაპ.

ქაფიანიძეებისა: გოგინა მიქელას-ძის, პეტრე, სპირიდონ და იოსებ დავითის-ძეთა, ალექსი შიოს-ძის და მიხაილ შაქარას-ძის, გლეხთა: სოფელსა ნაკიეთს ეზოები, ზვარები, სახნავ-სათესი და სათიბი, 75 დესიატ 1404 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 5,937 მან. 25 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 283 მან. 60 კაპეიკი; სულ 6,220 მან 85 კაპ.

ლეჩხუმის უეზდისა.

ჩიქოვანის, ივანე ოტიას-ძის, თავადისა: სოფელთა ლასურიაშს, მახაშს და უწყერს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, $48^3/_4$ დესიატ.; თავნი ვალი 4,904 მან. 17 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 268 მან. 42 კაპ., სულ 5,172 მან. 59 კაპ.

სენაკის უეზდისა.

მიქაძეთა: ალექსანდრე ალექსანდრეს-ძის, რამინ და ბეჟან [illegible]-ძეთა, ბიგო, სოლომონ, დიმიტრი და ანტონ ბესარიონის-ძეთა და [illegible] პეტრეს ასულის, თავადთა: სოფელსა ჭალადიდს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 750 დესიატინა; თავნი ვალი 14,757 მან. 41 კაპ. შეუვსებელი გარდასახადი 815 მან. 87 კაპ., სულ 15,573 მან, 28 კაპ.

ქ. ქუთაისს

$18^7/_{12}$ წლიანნი სესხნი.

გურიელის მეუღლისა, ელეონორა მიხაილის ასულის, თავადისა: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სამზარეულოით და 1230 კვადრ. საჟ. ბაღით და ეზოით, თავნი ვალი 4425 მან. 29 კაპ., შეუვსებელი გარდასახადი 304 მან. 97 კაპ., სულ 4730 მან. 26 კაპ.

იოსელიანისა, კონსტანტინე იესეს-ძის, პოდპორუჩიკისა: ორ-სართულიანი სახლი ძირა სართული ქვითკირისა, ხოლო ზედა ხისა, 344 კვადრ. საჟ. ეზოით; თავნი ვალი 1104 მან. 43 კაპ., შეუვსებელი გარდასახადი 136 მან. 12 კაპ., სულ 1240 მან. 55 კ.

მიუზენკოის მეუღლისა. მარიამ პეტრეს ასულის: ორ-სართულიანი სახლი—ძირის სართული ქვითკირის, ხოლო ზედა ხისა, სამზარეულოით და 439 ოთხ-კუთხი საჟ. ეზოით; თავნი ვალი 937 მან. 25 კ.. შეუვსებელი გარდასახადი 105 მან, 84 კ. სულ 1043 მან. 9 კ.

ალავიძეებისა: ნიკოლოზ, ნადვორნი სოვეტნიკის და ნოშრევან კაპიტანის, ოქროპირის-ძეთა: ორ-სართულიანი სახლი—ძირა სართული ქვითკირისა, ხოლო ზედა ხისა, 294 კვად. საჟ. ეზოით; თავნი ვალი 1,144 მან. 36 კ,. შეუვსებელი გარდასახადი 152 მან. 56 კ., სულ 1,296 მან. 92 კ.

ვორონოვისა, მიხაილ ალექსის-ძის, კოლლეჟსკი სოვეტნიკისა: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სხვა-და-სხვა მოწყობილებაებით და 1192 კვადრ. საჟ., ეზოით და ბაღით; თავნი ვალი 8,582 მან. 73 კაპ., შეუვსებელი გარდასახადი 344 მან. 32 კაპ., სულ 8,927 მან. 5 კ.

დგებუაძისა, ლუარსაბ ნიკოლოზის-ძის, აზნაურისა: ორი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, 198 კვადრ. საჟენი ეზოით; თავნი ვალი 2,861 მან. 91 კ., შეუვსებელი გარდასახადი 218 მან. 29 კ, სულ 3080 მ. 20 კ.

კანდელაკისა, დომენტი სიმონის-ძის, კოლლეჟსკი სეკრეტარისა: ორ-სართულიანი ხის ქვითკირის საფუძველზე სახლი, 353 კვადრ. საჟენი მიწით; თავნი ვალი 953 მან. 64 კ., შეუვსებელი გადასახადი 118 მ. 97 კ., სულ 1,072 მ. 61 კ.

ლორთქიფანიძისა, გიორგი როსტომის-ძის, თავადისა: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სამზარეულოით, სამეჯინიბოით და 369 კვადრ. საჟ. ეზოით; თავნი ვალი 2,860 მ. 91 კ., შეუვსებელი გადასახადი 150 მან., სულ 3,010 მ. 91 კ.

მაროჯანოვისა, კონსტანტინე ანდრიას-ძის, შტაბს—კაპიტანისა: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, 1800 კვად. საჟ. ბაღით და ეზოით; თავნი ვალი 2574 მან. 83 კ., შეუვსებელი გადასახადი 196 მან. 99 კაპ., სულ 2771 მან. 82 კ.

მუსხელოვისა, ალექსანდრე ივანეს-ძის, არტილლერიის პოლკოვნიკისა: ორ-სართულიანი სახლი—ძირა სართული ქვითკირისა, ხოლო ზედა ხისა, სამზარეულოით და 398 კვად. საჟ. ეზოით; თავნი ვალი 5,721 მან. 82 კ. შეუვსებელი გადასახადი 583 მან. 57 კ. სულ 6,305 მან. 39 კ.

ჯიშკარიანისა, ტარიელ გიორგის-ძის, მოქალაქისა: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით და 225 კვად. საჟ. ეზოით; თავნი ვალი 2617 მან. 78 კ., შეუვსებელი გადასახადი 156 მან. 45 კ. სულ 2774 მ. 23 კ.

ლენჩევსკისა, ვლადიმირ ანტონის-ძის, ინჟინერ-პოლკოვნიკისა: ერთი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ხოლო მეორე აგრეთვე ორ-სართულიანი სახლი—ძირა სართული ქვითკირისა, ხოლო ზედა ხისა, 303 კვადრ. საჟენი ეზოით; თავნი ვალი 14,543 მ. 25 კ., შეუვსებელი გადასახადი 711 მან. 19 კ., სულ 15,254 მ. 44 კ.

სამ-წლიანნი სესხნი.

გაბაშვილისა, მაქსიმ გიორგის-ძის კოლლეჟსკი ასსესორისა: 2 ნაკვეთი მიწა, 2 დესიატ. და 708 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,000 მან., შეუვსებელი გადასახადი 110 მ. 93 კ., სულ 2,110 მ. 93 კ.

დუმბაძისა, სოლომონ ნიკოლოზის-ძის, კოლლეჟსკი სეკრეტრისა: ერთი სართულიანი ხის სახლი სხვა-და-სხვა მოწყობილობაებით, 3 დესიატინი და 237 კვადრ. საჟ. ეზოით; თავნი ვალი 5,000 მ., შეუვსებელი გადასახადი 148 მ. 16 კ., სულ 5;148 მ. 16 კ.

ვაჭრობა დაიწყება ზემო-მოყვანილის თავნის ვალიდამ ზედ-დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გადასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშნვაზედ ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რაიცა ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს. ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ—მანეთი მანეთად; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ-იქმნენ ნაღდათ.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურსთ, მათ შეუძლიათ გასასყიდელთა მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 §-ის საფუძვლით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 18 აგვისტოს მდგომარის 1881 წლისა, იმავე ბანკის სამმართველოში.

(3—1)

Дозволено цензурою· Тифлисъ, 22 Іюня 1881 г· Типографія С· Меликова· გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი